**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის**

**აკადემიური საბჭოს სხდომის**

**ოქმი № 43**

**2010 წლის 23 ივლისი ქ. თბილისი**

**დღის წესრიგი:**

1. აკადემიური საბჭოს მდივნის არჩევა;
2. აკადემიური საბჭოს წევრის, პროფესორ მერაბ სვანაძის განცხადების განხილვა აკადემიურ საბჭოში უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;
3. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 9 ივლისის №185 დადგენილების განხილვა სსიპ დემოგრაფიისა და სოციოლოგიის, სსიპ დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის, სსიპ გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის, სსიპ პოლიტოლოგიის, სსიპ სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტების შემოერთებასთან დაკავშირებით;
4. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 2010 წლის ბიუჯეტში ცვლილებების განხილვა;
5. ეკოლოგიის ინსტიტუტის საბჭოს გადაწყვეტილების განხილვა აკადემიურ საბჭოში ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ დავით თარხნიშვილისათვის 6 თვის ვადის განსაზღვრის შესახებ;
6. ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტის საბჭოს გადაწყვეტილების განხილვა აკადემიურ საბჭოში ინსტიტუტის დირექტორის პროფესორ დავით მიქელაძისათვის 6 თვის ვადის განსაზღვრის შესახებ;
7. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ჩატარებული დეკანის არჩევნების შედეგების ცნობად მიღება, სადაც არჩეულ იქნა პროფესორი ლევან ცაგარელი;

8. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის -” მოზარდებთან ზრდასრულობაში გარდამავალი პერიოდის მართვა”, დამტკიცება;
9. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის დებულების განხილვა და წარდგენა წარმომადგენლობითი საბჭოსთვის;
10. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის წარდგინება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებასთან დაკავშირებით;
11. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის დეკანის წარდგინების განხილვა დოქტორანტების ბიძინა კაპანაძის, ხათუნა მაისაშვილისა და მაია ყუფარაძისათვის სადისერტაციო საბჭოს შექმნასთან დაკავშირებით;
12. ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის, დიმიტრი ჯაფარიძის განცხადების განხილვა დეკანის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ;
13. ფაკულტეტ „საინჟინრო კოლეჯისა“ და ბიზნესის ფაკულტეტის სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების გადატანა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტზე.

**სხდომას ესწრებოდნენ:**

1. გიგი თევზაძე – საბჭოს თავმჯდომარე;
2. გურამ ყიფიანი - სხდომის მდივანი;
3. მალხაზ მაყაშვილი;
4. ნელი წიბახაშვილი;
5. დავით მიქელაძე.

*საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.*

*2010 წლის 23 ივლისის სხდომაზე აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:*

1. **დამტკიცდეს** - აკადემიური საბჭოს მდივნის ფუნქცია შეასრულოს პროფესორმა გურამ ყიფიანმა;
2. **დამტკიცდეს** - შეუწყდეს უფლებამოსილების ვადა პროფესორ მერაბ სვანაძეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრად არჩევის გამო;
3. **დადგინდეს** - საქართველოს მთავრობის 2010 წლის 9 ივლისის №185 დადგენილების საფუძველზე რეორგანიზებული სსიპ დემოგრაფიისა და სოციოლოგიის, სსიპ დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის, სსიპ გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის, სსიპ პოლიტოლოგიის, სსიპ სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტები შეუერთდნენ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტს სტრუქტურულ ერთეულებად და საკითხი დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს;
4. **დადგინდეს** - დაევალოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სერგო რატიანს, უზრუნველყოს ინსტიტუტების შემოერთებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებების გატარება, მათ შორის, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 9 ივლისის №185 დადგენილების საფუძველზე უზრუნველყოს 2010 წლის მესამე და მეოთხე კვარტალის შერწყმული ბიუჯეტების წარდგენა წარმომადგენლობით საბჭოზე;
5. **დადგინდეს** - მოწონებულ იქნას 2010 წლის ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებები და დაამტკიცოს წარმომადგენლობითმა საბჭომ;
6. **დადგინდეს** - ცნობად იქნას მიღებული ეკოლოგიის ინსტიტუტის საბჭოს გადაწყვეტილება აკადემიურ საბჭოში ინსტიტუტის დირექტორის პროფესორ დავით თარხნიშვილისათვის 6 თვის ვადის განსაზღვრის შესახებ;

7. **დადგინდეს** - ცნობად იქნას მიღებული ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტის საბჭოს გადაწყვეტილება აკადემიურ საბჭოში ინსტიტუტის დირექტორის პროფესორ დავით მიქელაძისათვის 6 თვის ვადის განსაზღვრის შესახებ;
8. **დადგინდეს** - ცნობად იქნას მიღებული მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ჩატარებული დეკანის არჩევნების შედეგები, სადაც არჩეულ იქნა პროფესორი ლევან ცაგარელი.
9. **დადგინდეს** - უარი ეთქვას მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს საბაკალავრო პროგრამის - "მოზარდებთან ზრდასრულობაში გარდამავალი პერიოდის მართვა", დამტკიცებაზე.
10. **დადგინდეს** - წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის დებულება დასამტკიცებლად.
11. **დამტკიცდეს** - დამტკიცდეს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება და გაუქმდეს 2008 წლის 4 აპრილის აკადემიური საბჭოს №17 სხდომის ოქმით დამტკიცებული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის სტანდარტი;
12. **დამტკიცდეს** - შეიქმნას საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო: 1. ბიძინა კაპანაძის საჯარო დაცვისთვის შემდეგი შემადგენლობით: გია მაჩაბელი, თინათინ კახნიაშვილი, გოდერძი დიდებულიძე, მარინა გიგოლაშვილი, ირაკლი სიმონია, სათათბირო ხმის უფლებით - გიორგი ჯავახიშვილი. 2. ხათუნა მაისაშვილის საჯარო დაცვისთვის შემდეგი შემადგენლობით: გიგი თევზაძე, გია ნოდია, დავით აფრასიძე, გიგა ზედანია, სათათბირო ხმის უფლებით - ემზარ ჯგერენაია, ხოლო მაია ყუფარაძის დისერტაციის შეფასებისათვის გამოიყოს რეცენზენტები შემდეგი შემადგენლობით: კოტე ჭიჭინაძე, რევაზ კორინთელი, შორენა საძაგლიშვილი;
13. **დადგინდეს** - ცნობად იქნას მიღებული დიმიტრი ჯაფარიძის გადაწყვეტილება ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ, რის

შესახებაც ეცნობოს ფაკულტეტს და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს.

14. **დადგინდეს** - ფაკულტეტ- „საინჟინრო კოლეჯისა“ და ბიზნესის ფაკულტეტის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები გადავიდეს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტზე, ხოლო სტუდენტთა პირადი საქმეების ადმინისტრირება მოახდინოს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების დეპარტამენტმა.

სხდომის თავმჯდომარე

გიგი თევზაძე

სხდომის მდივანი

გურამ ყიფიანი